№ 46 — 1877–1897 — № 46

ოთხშაბათი, 12 მარტი 1897 წ.

**ფასი ლისა:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ[ერი]—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

ოთხშაბათი, 12 მარტი 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნა: იუსტიციის სამინისტროს განყოფილებაში მყოფი, კოლეჟსკი სეკრეტარი ორხელაშვილი—ეკატერინოდარის ოლქის სასამართლოს მესამე ნაწილის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად.

დანიშნულ იქმნა: სამსახურს გარეშე მყოფი ნადვორნი სოვეტნიკი ბარნიშვილი—კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს მოხელედ.

სიიდგან გამორიცხულ იქმნა სიკვდილისა გამო: გორის სათადარიგო ჯარის რაზმის პარუჩიკი თავადი თუმანიშვილი.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებელის მოადგილის თავ. ამილახვარის განკარგულებით, ხუთშაბათს, 13 მარტს, საღამოს 5 საათზედ, სიონის ტაძარში უნდა შეიკრიბნენ ადგილობრივნი მოხელენი. ამ დროს ტფილისში მოელიან კავკასიის მთავარ მართებელს თავადს გ. ს. გოლიცინს.

*** საყოველთაო აღწერის ცნობებიდგანა სჩანს, რომ ტფილისში 161,000 მცხოვრები ყოფილა.

*** საქართველოს ეგზარხოსმა ვლადიმერმა მიჰმართა მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს და სთხოვა 6 დღიური ადგილი ბოდბეს საეკკლესიო-სამრევლო სკოლისათვის სამაგალითო ბოსტანის გასაშენებლად სიღნაღის მაზრის ეგრედ წოდებულ ნასომხარში. ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ უკვე შეატყობინა მინისტრის რწმუნებულს, რომ ჩვენის მხრით ამ ადგილის დათმობის წინაამდეგნი არა ვართო.

*** მარტყოფი. აქ რაღაც ავადმყოფობა გავრცელდა, სახადის მსგავსი. სულ ცოტა ხანში ამ სენით გარდაიცვალა ოთხი კაცი. ავადმყოფობა თანდათან ვრცელდება და ექიმი-კი არავინ გვაღირსა.

*** გაზ. „ს. პეტ. ვედ.“-ის სიტყვით, სასულიერო უწყებას განუზრახავს კავკასიაში ფუტკრის სკები გაჰმართოს და თვითვე გაიჩინოს სანთელი საეპარქიო სანთლის ქარხნებისათვის.

*** 8 მარტს, დილით, ერთი ქალი მოუკლავთ ორხევის ფოსტის სადგურის მახლობლად, კახეთის გზაზედ, რომლის ვინაობაც ჯერ ვერ შეუტყვიათ.

*** სოფ. ისულა (სენაკის მაზრა): ეს ორი წელიწადია, რაც ახალ-სენაკიდგან ჩვენ სოფლამდის საზოგადო გზისათვის თხრილები გააკეთეს, ხოლო სენაკიდგან ნახევარის ვერსის მანძილზედ ქვა მოაყარეს, დანარჩენი-კი ისეა მიტოვებული. არ ვიცით დანარჩენმა რა დაუშავათ? დღეს ეს გზა ისეა გაფუჭებული, რომ თუ მგზავრობა გინდა, ჯერ მღვდელთან უნდა მიხვიდე, ეზიარო და მერე განაგრძო მგზავრობა. რაც გინდა ზედაურის ცხენის პატრონი იყოთ, მაინც უხიფათოდ ვერ გადურჩებით: კისრამდე ჩაიფლებით ტალახში. აქაურ მცხოვრებლებს ჭირნახული ვერ გაგვიტანია გასასყიდად, ისე ვართ დამწყვდეული. ამიტომ კარგი იქნება, ვისგანაც ჯერ არს, ჩვენს ესოდენს შეწუხებას რაიმე ყურადღება მიაქციოს და ამითი გვიხსნას ყოველდღიურის განსაცდელისაგან...

*** ჩვენ მოგვივიდა უდაბურ წყალწმიდის ძმობის გამოცემა: „ცხოვრება და სასწაულთ მოქმედება ღირსისა მამისა ჩვენისა და ღმერთ-შემოსილისა სვიმონ მესვეტისა.“ წიგნაკი კარგის ენით არის დაწერილი და ჰღირს ერთი შაური.

*** როგორც გვაუწყებენ, მისს ყოვლად მაღალ უსამღვდელოესობას მ. იროდიონ ნანაბაშვილი დაუნიშნავს რკინის გზის სადგურების ეკკლესიის ბლაღოჩინად, ხოლო ერთი მღვდელიც სადგურს სამტრედიაში დაუნიშნავთ.

*** სოფ. მამაჩი. (ყარსის მაზრა). თებერვლის მიწურული დღეები, რომელიც გაზაფხულის წინამორბედად, მახარობლად მივიჩნიეთ, შეიცვალა. სამი დღეა თოვს, ყინვას უმატა. აქეთ დიდ-ძალი თოვლი ძევს; ვგონებ ორ თვეს ვერ გაიტანონ გუთანი. სხვა მხრივ მშვიდობიანობაა.

*** სოფ. დიდი-ლილო: (ტფილისის მაზრა). ძალიან შეწუხებულნი არიან ამ სოფლის მცხოვრებნი უპურობისაგან. წარსულს წელს მოსავალი სულ თაგვმა მოუჭამათ, იმდენი არ მოჰსვლიათ, რომ სექტემბრის გასვლამდის ჰყოფნოდეთ. გაჭირვებულმა ხალხმა რითაც და როგორც იყო იყიდეს სათესლე ხორბალი, დასთესეს ნახნავები, ბევრს დასათესიც დარჩათ, თესლი რომ აღარა ჰქონდათ. საუბედუროდ, ისევ ის მოელით, რაც წარსულ წელს ამბავი იყო. მოსავალს თაგვი ძალიან აზარალებს. თქვენს მტერს, მოსავალი არ მოუვიდეთ, სულ ერთიანად დაიღუპებიან ამ სოფლის მცხოვრებნი, რადგანაც სხვა ღონისძიება არა აქვრთ-რა.

*** ქიზიყი. ქვემო-ქიზიყში სამი სამრევლო სკოლაა. პირველი დააარსა არხიმანდრიტმა მამა ლეონიდმა ხირსის მონასტერთან და დღესაც ყოვლად კეთილის მამა ლეონიდის საკუთარ ხარჯით დაქირავებული მასწავლებელი ასწავლის ბალღებს; მეორე დააარსა ს. ჯუგაანში ახალგაზდა მღ. ეგნატე მენთეშაშვილმა, რომელიც ორი წელიწადია გულ-მოდგინედ ასწავლის ბალღებს უსასყიდლოდ ძმათ-მოყვარების გულისათვის და მესამე დააარსა ბოდბეში მღ. ბალაშვილმა, რომელიც რამდენისამე წლის განმავლობაში ასწავლიდა უსასყიდლოდვე. დღეს სასულიერო მთავრობისაგან გადაწყვეტილია ხსენებულ სკოლებს მასწავლებლები დაენიშნოს ჯამაგირით და გაიმართოს კიდევ სიღნაღის მაზრაში ორ კლასიანი სამრევლო სკოლა, რომლისათვისაც ხარჯი უკვე გადადებულია სასულიერო მთავრობისგანვე. მხოლოდ სოფლებმა უნდა აუშენონ სკოლას შენობა უსასყიდლოდ. ქვემო-ქიზიყი კისრულობს მუქთად ადგილის დათმობას და შენობის აშენებას ზემო და ქვემო-მაჩხაანის შუა საზღვარ მთის ვაკიანზედ. ეს ადგილი ქიზიყის ყველა სხვა კუთხეებზედ ყოველის მხრივ მოხერხებული და საკეთილოა სკოლისათვის.

*** 6 მარტს პოლიცმეისტრის გამგეობასთან დაარსებულის შემნახველ-გამსესხებელი კასის წევრთა საზოგადო კრება იყო. კრებას პოლიცმეისტერი ბ-ნი მასტიცკი თავმჯდომარეობდა. ხაზინადრის ბ-ნ ჩეფრანოვის მიერ წაკითხული ანგარიშიდგანა ჰსჩანს, რომ 1896 წლის გასულს კასას 86 ამხანაგი ჰყოლია; იმ დროსვე სავალდებულო შესატანი, თანხის სარგებელი და ჯარიმა 18,469 მ. 13 კ. ყოფილა, რომელთაგან წევრების ხელშია 13,040 მ., ხოლო კასაში 5,429 მ. 13 კ. ანგარიშის წაკითხვისა და დამტკიცების შემდეგ მოხელე კაცების არჩევას შეუდგნენ. გამგეობის თავმჯდომარედ ა. ტ. ლოლაძე აირჩიეს, იმის კანდიდატად ი. ი. სამუსი; გამგეობის წევრებად—მ. მ. კურისი და რ. ი. ნაცვლიშვილი, იმათ კანდიდატებად—ნ. პ. იანიცკი და დ. ი. მარგაევსკი; სარევიზიო კამისიის წევრებად—ლ. ვ. სპეგალსკი და დ. გ. გედევანიშვილი; კასის ხაზინადრად—მ. ნ. ჩეფრანოვი და მის ნდიდატად—ა. ნ. მირიანოვი.

### ქალაქის საბჭო

10 მარტი.

თავმჯდომარემ ბ-ნ ივანენკომ კრებას თავ. ნ. ზ. ჭავჭავაძის გარდაცვალება აუწყა და, მოახსენა-რა, რა დიდი ღვაწლი მიუძღვის მას კავკასიისა და მთელის იმპერიის წინაშე, სთხოვა,—ფეხზედ წამოდგომით ვცეთ პატივი მიცვალებულის ხსენებასაო.

## ფელეტონი

### ზე-შთაგონება

(სიული პრიუდომისა)

ბავშვს დააფრინდა ძვირ-სახილველი
ლამაზი ჩიტი, ჭრელი, პატარა;
ბავშვმა დასტაცა მყის ფრთოსანს ხელი,
დაჰგლიჯა ფრთები და გაამწარა.
სასტიკი ცელქი ბუმბულსა ნაზსა
მძლავრად უბერავს, აღარ იბრალებს,
ნაზი სამოსი სცვივა მალხაზსა,
არევ-დარევით ცაში ტრიალებს...

პატარა ჩიტი ჩემი გულია,
ცელქი ბავშვი—ის, ვინც ჩემ დამწველად
უხილავისგან დასახულია,
ვისც ვერ ვახსენებ ცრემლ-დაუფრქვევლად...
მეთამაშება და ეს თამაში
მხოლოდ მას ართობს, მე-კი მიკლავს გულს:
სიმწარითა ვსჭვრეტ თვალ-უწვდ სივრცეში
ჩემის გულის ჰანგს, უგზოთ მოარულს;
გულს რომ მიძარცვამს—ეს ჰფენს სიხარულს
ზე-შთაგონებად ჩემად დასახულს...
ის აბნევს ცაში ჩემსა ოცნებას,
სამგოსნოთ მხოლოდ მისით ვიგზნები
და თუ მას ავსცდი, ან იმისს სუნთქმას—
აღარაფერი აღარ ვიქნები!..

გრ. აბაშიძე

### ვარძია ინგრევა!

დიაღ, ბატონებო, ჩვენი ისტორიული დიდება, ვარძიის მონასტერი ინგრევა. ინგრევა შესანიშნავი ისტორიული ნაშთი, მხატვრობით სავსე მონასტერი, რომლის მსგავსიც მთელს ქვეყანაზედ არ მოიპოვება.

ვარძია ის წმიდა ადგილია, სადაც მეფე გიორგიმ, თამარის მამამ, საგანგებოდ გაავრცელებინა უკვე ყოფილი მაღაროები, გამოაკვეთინა კლდეში მონასტერი მიძინების ღვთისმშობლის სახელობაზედ და ბერთა სავანე განაწესა შვიდასამდე გამოქვაბულ მაღაროში. თვით მონასტერი სიდიდით ტფილისის ქვაშუეთის ეკკლესიაზედ თუ დიდი არა, ნაკლები აღარ იქნება.

ყველაზედ დიდი ღვაწლი-კი თამარ მეფეს მიუძღვის, რომელიც მთელ თავისს სიცოცხლეში ჰზრუნავდა ამ წმიდა ადგილისათვის და არას იშურებდა ვარძიის მონასტრის გასამშვენიერებლად. ყველაზედ ძალიან თამარ მეფეს უყვარდა ამ წმიდა სავანეში ცხოვრება, საქმეთაგან აქ დასვენება. ამას მაშინდელი სა პოლიტიკო გარემოებაც მოითხოვდა, რომ მეტი ყურადღება სამხრეთ საქართველოსთვის მიექციათ და მოსამზღვრე თათრებისთვის თვალყური ედევნებინათ. თამარის დროს ეკუთვნის ვარძიის მონასტრის დიდება. მის დროს დამშვენდა მონასტრის კედლები შესანიშნავ მხატვრობით; თამარმა შეამკო ძვირფასი თვლებით ვარძიის სასწაულთ მომქმედნი ხატნი და ჯვარნი; მის დროს იყო შეწირული მრავალთ-უმრავლესი ძვირფასი სამკაული ამ მონასტრისა.

თამარის შემდეგ მე-XIV საუკუნეში ყოველივე სიმდიდრე ვარძიის მონასტრისა მონგოლთ აიკლეს და ბერები ამოსწყვიტეს. მე-XVI საუკუნემდე კიდევ ბევრჯელ იყო გაძარცული და შეგინებული ვარძიის წმიდანი. ამ ხანებში ხომ სამცხე (აწ ახალციხის მაზრა) ოსმალებმა დაიპყრეს და მათს ხელში ორასი წელიწადი მეტი ეს დიდებული ნაშთი ცხვრის ფარეხად იყო გადაქცეული და მეცხვარეთა შუაცეცხლისაგან გაკომლილი.

1828 წელს პასკევიჩმა ახალციხის მხარე ხომ შემოუერთა რუსეთს და მერე რა, რომელმა ქართველმა აიტკია თავი და ეს დიდებული ნაშთი გაეპატიოსნა, საკადრისს მდგომარეობაში მოიყვანა?.. დარწმუნებულნი ვართ, უკეთუ ვარძიის მონასტერს ჭირისუფლად ჰაჯი გიორგი, ოსმალეთიდგან ლტოლვილი ბერძენი, არ გამოსჩენოდა, ეს ჩვენთვის სასიქადულო წმიდა ადგილი დღესაც ცხვრის ფარეხად იქნებოდა ქურთების ხელში და მთლად ბოლისაგან გაიმჭვარტლდებოდა.

ეგ რად გინდათ, დიმიტრი ბაქრაძე ამბობს, რომ ვარძიის შესახებ თუ რამ ცნობები გვაქვს, ისევ დიუბუა-დე-მონპერეს მადლიერნი უნდა ვიყვნეთ, რომელმაც ცოტად თუ ბევრად ვრცლად აღწერა ვარძიის მონასტერიო.

დიაღ, ჩვენნი ქართველნი ისტორიკოს-არხეოლოგნი და ლიტერატორები არც-კი გარჯილან დაეთვალიერებინათ და ღირსეულად აეწერათ ეს შესანიშნავი ისტორიული ნაშთი, საბუთი საქართველოს წარსულის დიდებისა.

საკვირველია, ღმერთმანი! ზოგნი ამერიკას მიდიან, უცხო სანახავი რამ ვნახოთო, და ჩვენ-კი იმის ხალისიც არა გვაქვს, რომ ჩვენის თვალით ვნახოთ, ვინ ვიყავით, ან რის პატრონნი ყოფილან ჩვენი წინაპარნი.

დღესაც მონასტრის კედლები შიგნით თუ გარეთ მთლად დაფენილია მშვენიერის მხატვრობით. შეხვალთ თუ არა მონასტერში, ყველაზედ უწინ თქვენს ყურადღებას მიიზიდავს ტრაპეზის ზემოთ მთლად გუმბათზედ შესანიშნავი ვიზანტიურ ხელოვნებით დახატული ღვთის-მშობლის ხატი ყრმით. სახის გამომეტყველება ისეთი უმანკო და დიდებული აქვს ამ ხატს, რომ რაც უნდა გადარჯულებული იყო, სასოებას, სიწმიდეს გიღვიძებს გულში და მართლა რომ ადამიანი ადამიანად გარდაიქმნები. გული გეთუთქება, როდესაც ჰხედავ, რომ ამ ხატისთვის ურწმუნო ფანატიკოსს თოფი უსროლია და დღესაც შუბლის ზემო ნაწილი ტყვიისაგან ამოხეთქილია.

ვარძია როგორც წმიდა სალოცავი, შეიძლება ეხლანდელ საქართველოში დავიწყებულიც იყოს, რადგან თითქმის ორასი წელიწადი ეს მხარე თათრებს ეჭირათ, მაგრამ ვა-

კრებამ ეს წინადადება ხმა ამოუღებლივ შეასრულა.

გამგეობის წევრმა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკმა გამგეობისა და საბჭოს ხმოსან ექიმების მიერ შედგენილი მოხსენება წაიკითხა გადამდებ სენით შეპყრობილ ავადმყოფთათვის დროებით საავადმყოფოს აგების შესახებ. მოხსენებიდგანა სჩანს, რომ ამ საქმისთვის 7000 მან. საჭიროა, რომლისგანაც 2000 მან. იმ თანხიდგან უნდა დაიხარჯოს, რომელიც მუშა ხალხისათვის საავადმყოფოს ასაგებლად არის გადადებული.

ხმ. არ. ს. ბაბოვი. ეს საგანი ფულის დახარჯვასა თხოულობს, ამიტომ სანამ მას განსახილველად წარმოუდგენდით საბჭოს, ხმოსნებისთვის უნდა გეცნობებიათ. ეს ქალაქის დებულების თანახმაც იქმნებოდა და საქმის რიგიანად გარდაწყვეტასაც ხელს შეუწყობდა. ამიტომ მე წინააღმდეგი ვარ, რომ ეს საგანი საბჭომ დღეს გაარჩიოს.

ხმ. იოანესიანი. ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს,—ამ საგნის განხილვა სამერმისოდ გადავდოთ. ეს ახალი საქმე ხომ არ არის? ამავე საგნის შესახებ ამ ორის კვირის წინად ჰქონდა საბჭოს მსჯელობა და დაადგინა,—გამგეობასა და ხმოსან ექიმებს ყოველი ცნობა შეეკრიბნათ იმის შესახებ და საბჭოსათვის მოეხსენებინათ. იმათ მათდამი მინდობილება შეასრულეს. ისინი ხომ ახალის ხარჯის გაღებას არა სთხოვენ საბჭოს; ხუთასი თუმანი იმ საქმისის უკვე გადადებული იყო და არანხაც, რომელსაც ორასი თუმან უნდა მოაკლონ, ამგვარივე საგნისვის არის ნებადართული, ე. ი. მუშა ხალხისთვის საავადმყოფოს ასა[გ]ებად, რომლის საფუძველსაც უნდა შეადგენდეს ის დროებითი საავადმყოფო, რომლისათვისაც დღეს შვიდას თუმანსა გვთხოვენ.

რამდენიმე ხმოსან-ექიმმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ საავადმყოფოსათვის შენობის გეგმა რიგიანად ვერ შეუდგენია გამგეობას, ერთობ არეულ-დარეულია იგი და კაცი ვერას გაიგებსო.

ხმ. თავ. პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი და ნ. თუმანოვი. ექიმებიც იმ აზრისანი არიან, რომ საავადმყოფოს გეგმა რიგიანად ვერ არის შემუშავებულიო. ჯერ ჯეროვნით გეგმა უნდა შემუშავდეს და შემდეგ იმის კვალობაზედ გადაიდოს ფული. ამიტომ საჭიროა,—ამ საქმის რიგიანად გამორკვევა საბჭომ გამგეობას, ხმოსან ექიმებს, ტეხნიკებს და საფინანსო კომისიას მიანდოს. ეს კრებული საქმეს ყოველ მხრივ გამოარკვევს და საბჭოს წარმოუდგენს დასამტკიცებლად.

ხმ. ბაბოვიც ამ აზრს მიემხრო.

შემდეგ ბევრის ლაპარაკისა საბჭომ დაადგინა:

1) აშენდეს საავადმყოფო ავლაბარში, პეტრე-პავლეს სასაფლაოს ქვემოდ;

2) გადაიდოს ამ საქმისთვის წინაზედ გადადებულ ხუთას თუმნის გარდა კიდევ ორასი თუმანი იმ თანხიდგან, რომელიც მუშა ხალხისთვის საავადმყოფოს ასაგებად არის დანიშნული.

აქ-კი ველარ მოითმინა ბაბოვმა და ლაპარაკი დაიწყო; ზარის რეკა მოისმა. ბაბოვმა თავისი არ დაიშალა და საერთო ხმაურობაში მისი ხმაც მოისმოდა.

თავმჯდომარე (ბაბოვს). იძულებული ვიქმნები კრება შევაჩერო, თუ. .

ხმ. ბაბოვი. შეაჩერეთ, შეაჩერეთ!

მარჯვნიდგან სტვენა მოისმის.

ხმ. იოანესიანი. (თავმჯდომარეს). კრების შეჩერება როგორ შეიძლება? ლაპარაკის ნებას ნუ მისცემთ.

თავმჯდომარე (ბაბოვს). კრებას ვერ შევაჩერებთ და თქვენ-კი სიტყვის თქმის ნებას არ გაძლევთ.

ხმ. ბაბოვი. თავმჯდომარეს ქალაქის დებულება ნებას არ აძლევს,—ხმოსანს ლაპარაკი აუკრძალოს. ამისი ნება მხოლოდ გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოსა და სენატს აქვს...

(ისევ შტვენა მოისმის).

ამის შემდეგ ხმოსნები დაშოშმინდნენ და განჩინების დადგენას შეუდგნენ.

3) გამგეობამ საავადმყოფოს გეგმა ექიმ და ტეხნიკ ხმოსნებთან ერთად შეიმუშავოს;

4) საავადმყოფო 20 ავადმყოფისათვის იყოს გამართული.

ამ საგნის გადაწყვეტის შემდეგ საბჭომ სხვა საგნები განიხილა და დაადგინა:

1) სასწორების ნიშნის დამსმელ ხელოსანს 300 მან. წლიური ჯამაგირი მიეცეს;

2) 1-ლ საკვირაო სასწავლებელს 200 მან. შესაწევარი მიეცეს;

3) საყასბოზედ ბაჟის ამღებს 480 მან. წლიური ჯამაგირი დაენიშნოს;

4) შეწყნარებულ იქმნეს ქალაქის ლომბარდის გამგეს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ კანცელარიის ხარჯის დასაფარავად 300 მან. მოგეცითო;

5) ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო დაწესებულების აგენტები ერთნაირ ქუდს უნდა ატარებდნენ, რომ ვისთანაც იმათ საქმე აქვთ, ადვილად იცნობდნენ;

6) ეს აგენტები ისე ნუ იქმნებიან სამსახურში მიღებული, თუ პროგიმნაზიის კურსი მაინც არ დაუმთავრებიათ;

7) ხარჯთ-ამკრებ დაწესებულების აგენტს, როცა გამგეობა სამსახურში მიიღებს, 500 მან. თავმდები უნდა მოეთხოვოს;

და 8) მნაცაკანოვის ხიდის იჯარით გაცემის შესახებ ვაჭრობა დამტკიცდეს და იჯარადარს წლიური იჯარა 6950 მან. გამოერთვას.

ბოლოს ქალაქის ვექილის თანაშემწის შესახებ ატიძრა ლაპარაკი, რომლის მოწვევაც წარსულს კრებაზედ სცნო საჭიროდ საბჭომ და წლიური ჯამაგირი 900 მან. დაუნიშნი.

ხმ. თავ. ნ. ე. დოლგორუკოვი-არღუთინსკი. ვექილის თანაშემწე ვაჭართა მიერ დარღვეულ საბჭოს სავალდებულო დადგენილებათა საქმეს უნდა დაესწრას სასამართლოებში. იმას ჩვენ 900 მან. დავუნიშნეთ ჯამაგირი. ცხადია, ნაფიცი ვექილისთვის ეს ჯამაგირი ცოტაა. თუ გამგეობამ ნაფიცი ვექილი დაიქირავა, იგი ჩვენ საქმეებისთვის მაშინ მოიცლის, როცა სხვა საქმე არა ექნება-რა. ამიტომ უმჯობესია, გამგეობამ კერძო ვექილი დაიქირაოს, რომელსაც პატიოსანისა და მუყაითი კაცის სახელი დაუმსახურებია.

ხმ. თავ. ნ. თუმანოვი. ხმა დადის, რომ ქალაქის ზოგიერთ მოღვაწეს თავისი ნათესავისთვის უნდათ ეს ადგილი...

თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი. თქვენ არ შეგიძლიანთ ასე ლაპარაკი! ნუ დაივიწყებთ, რომ ქალაქის საბჭოში იმყოფებით!

ასტყდა კვლავ ჟღავი-ჟღური. ხმოსნებმა ნელ-ნელა გარედ გასვლა დაიწყეს. ზოგი იქვე დარჩა და ერთმანეთს ეკამათებოდნენ.

კრება დაიშალა.

# დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. დიღომი.** სოფელს დიღომში ჯერ ორი კვირა არ გასულა მას შემდეგ, რაც ქ. გორიდგან ახლად გადმოვიდა მღვდელი იოელ გამრეკელი; მოსვლის უმალ, ნახა-რა, რომ სოფელი დიღომი შესდგება თითქმის ოთხასის კომლისაგან, რომელიც ქ. ტფილისზედ შვიდი-რვა ვერსის მანძილზედაა მოშორებული, არა აქვს სასწავლებელი, ეს ერთად ერთი სახსარი განათლებისა, სულით და გულით მოიწადინა მისი დაარსება. ამის გამო მიჰმართა სოფლის მამასახლისს მამუჩაშვილს, სთხოვა სოფელი შეეყარა. მამასახლისიც გულმოდგინედ მოეკიდა ამ კეთილს საქმეს. ჯერ ხალხს სთხოვა ეკკლესიაში შეკრებილიყვნენ პირველს კვირას დიდ-მარხვისას, 2 მარტს, და მოესმინათ სიტყვა—ქადაგება ახლის მოძღვრისა და მერე თავი მოეყარათ სოფლის კანცელარიაში? მღვდელმა გამრეკელმა ეკკლესიაში წარმოსთქვა დიახ საგრძნობელი სიტყვა, რომელმაც დიდად იმოქმედა მსმენელებზედ. მსმენელთა შორის ხშირად გაისმოდა: ჯერ ამნაირი, სიტყვა და დარიგება არავისგან გვსმენია და არც ვიცოდით, თუ სწავლას მართლა ეგეთი დიდი მნიშვნელობა აქვსო... სკოლის სარგებლობა განუმარტა საზოგადოებას თვით მამასახლისმაც.

საზოგადოებამ იმ დღესვე შეადგინა ორი განაჩენი, რომელზედაც ყველამ ხელი მოაწერა. პირველ განაჩენში ის ჩაიწერა, რომ ს. დიღომში დაარსდეს ერთ-კლასიანი სამრევლო სასწავლებელი და იმისთვის უნდა დაიქირაონ ოთხ-ოთახიანი ქვითკირის შენობა შუაგულს სოფელში და ჯამაგირად სასწავლებლის მასწავლებელს დაუნიშნოს კომლზედ ათი შაური. ამასთანავე დაადგინეს, რომ საეკკლესიო სამრევლო სასწავლებლების მეთვალყურეს ბ-ნს ტატიშვილს სთხოვონ ეხლავე მასწავლებელი დანიშნოს და სწავლა დაიწყოს. განაჩენი დაუყოვნებლივ დამტკიცდეს და აღსრულებაში მოვიდეს, მეორე განაჩენი კიდევ იმას შეეხება, ბ-მა ტატიშვილმა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ სკოლისათვის დაქირავებული შენობა სოფლის დიღმის საზოგადოებას დაეთმოს საკუთრებად. ყოველივე ეს ამბავი მღვდელმა გამრეკელმა აცნობა თ. კონსტანტინე ივანეს ძეს მუხრანსკის, ს. დიღმის მებატონეს, რომელმაც თავის მხრითაც აღუთქვა სასწავლებელს შემწეობა.

დიღმელი

**ხაშური.** უეჭველია ბევრს ეცოდინება, რომ რკინის გზის მმართველობამ ამავე გზის მოსამსახურეთა შვილებისათვის ორ-კლასიანი სასწავლებელი დააარსა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ სასწავლებელში, თუმცა მოსწავლეები მომეტებულ ნაწილად ქართველები არიან, ქართულს ენასა არ ასწავლიან, და ამის გამო იქაურმა მოსწავლეებმა ერთი ქართული ასოც-კი არ იციან.

ამას წინად მე და ბ-ნი ფანცულაია მივდიოდით ერთს ადგილას. გზაში ჩამოვჯექით, ფანცულაიამ ქართულის წიგნის კითხვა დაიწყო. ამ დროს ხსენებული სასწავლებლის მოსწავლეები სა-

---

რძიის მონასტერი უფრო სხვაფრივ არის საინტერესო. დღეს ვარძიის მონასტერი ჩვენთვის არის ნამდვილი გალლერეა საისტორიო მოღვაწეთა სურათებისა, სადაც საუცხოოთ დაცულა სახენი ქართველ მეფეთა და დიდებულთა. ჩრდილოეთ კედელზედ მთელი თავის თვალ-ტანადობით და მეფურის გვირგვინითა და სამოსლით ფერადი წამლებით არიან დახატულნი: მეფე გიორგი (თამარის მამა) და მისი თანა მეცხედრე დედოფალი. მამის მარჯვნივ დახატულია თამარ მეფე მშვენიერ სახით და სრულის თვალ-ტანადობით, მდიდრულ მეფურ სამოსელით, ძვირფასის თვლებით მძიმედ შემკული. თამარის სამოსელს ზოგიერთი განსხვავება აქვს ეხლანდელ დახატულ მის სურათებთან. მაგალითად, სარტყელ ქვევით, მარცხენა მხრივ, არწივის ფრთასავითა აქვს ირიბად დაშვებული, თვალ-მარგალიტით ნაკერი ენქერი და სხ. თამარის მარჯვნივ აქვე ჰხატიან რუსუდან დედოფალი და ლაშა გიორგი, ხოლო სამხრეთ კედელზედ დამწკრივებულან თამარის დროის დიდებულნი და გამოჩენილნი სარდლები. სარგის თმოგველი, მხარგძელი, ათაბაგნი და სხვ. როგორც მოგახსენეთ, ეს შესანიშნავი ისტორიული ჩვენი დიდება ინგრევა, რადგან ღვთის მშობლის ხატს ახლო კლდიდგან გამოკვეთილი გუმბათი გასქდა. მოგეხსენებად ბუნების კანონი, რაკი ზამთრის პირას კლდეში წვიმის ანუ თოვლის წყალი ჩასდგება და გაჰყინავს, ყინული გაგანიერდება, დინამიტივით გაჰხეთქამს მთლად კლდეს და აქაურობას ისე მიანგრ-მოანგრევს, რომ მონასტრის კვალიც აღარ სჩანდეს.

დავიჯეროთ ეს დიდებული ნაშთიც უნდა გახდეს მსხვერპლი ქართველთა ჩვეულებრივის დაუდევრობისა და ჩვენის გონების სიზანტისა! მაშასადამე, მონგოლებზედ უარესიც ვყოფილვართ: ისინი ჩვენს წმინდანებს მხოლოდ სცარცვავდნენ და ჩვენ-კი ძირიანად ვსპობთ.

ნუ თუ დიდს თაოსნობას, დიდს ხარჯს მოითხოვს, რომ სანამ კიდევ დროა, მივეშველნეთ ვარძიას და თუ დანგრევისაგან ვერ დავიხსენით, ის მაინც ვითავოთ, რომ მხატვარი მოვიწვიოთ, მეფეთა, დიდებულთა სახენი და მათი ძვირფასნი სამოსელნი ისტორიულ სინამდვილით ფერადისავე წამლებით გადიღოს ისე, როგორც დახატულია.

ეს მეორე წელიწადია, რაც საგანგებოდ ვარძიის მონასტრისათვის გზაც გააფართოვეს და მგონი ეს გზა-ტკეცილი ორს მაზრას, ახალციხის და ახალქალაქისას, ორი ათას თუმნამდე დაუჯდათ, მაგრამ რიღასთვის გვინდა ეს გზა, თუ-კი თვით მონასტერი დღე-დღეზე მოირღვევა?!

ისიც გვახსოვს, რომ ამ ათის წლის წინად ერთის პატივცემულ ქართველის თაოსნოსით ბ-ნი გაბაშვილი უნდა გამოეგზავნათ ღვთისმშობლის ხატის შესაკეთებლად. ვიცით ისიც, რომ ხუთი წელიწადი მეტია, რაც ადგილობრივ განსაკუთრებითი კამისია შესდგა ვარძიის მონასტრისთვის რამე ეზრუნა. ვნახეთ ისიც, რომ დღესაც კანკელზედ ხარაჩოები მზად სდგას ხატის შესაკეთებლად, მაგრამ ყოველივე ეს კეკემალულობის თამაშობასა ჰგავს და არა საქმეს.

ჩვენის აზრით-კი, აი რა არის საჭირო:

ვარძიის მონასტერი თავისის მაღაროებით უშველებელ მთაშია გამოკვეთილი სამ-ოთხ სართულად. ამ მთას ზემოდ დიდი არხი ჰქონდა უწინ შემოვლებული, რომ მთიდგან წამოსულს ნია-ღვარს სულ სხვა გზით ევლო, მონასტერს და მაღაროებს არ მიჰკარებოდა, არ ჩამოერეცხა, არ ჩაეხრამა.

ეს არხი ვინ იცის რამდენი საუკუნეა, რაც ამოვსებულა და ამოდენა მთის ნიაღვარი მონასტერსა და მაღაროებზედ გადმოდის და ყველაფერს ანადგურებს. ამ ორის წლის წინად ჩვენის თვალით ვნახეთ დიდ წვიმიანობის შემდეგ ნიაღვრების საშინელი ნაოხრალი. მაშინ ის აზრიც წარმოითქვა ორიოდ გულშემატკივარ იტნელიგენტ ქართველთაგან, ვისაც საჭიროა ვთხოვოთ, რათა უბძანოს და აქ საგანგებოდ დასთესონ ხეების თესლი, რომ ბუჩქნარმა და ტყემ შეიმაგროს ნიაღვრებიო. ეს აზრი ხომ ვიცით რომ აზრად დარჩება და ტფილისამდე არც-კი ჩამოჰყვებოდათ და ახლა-კი უეჭველად საჭიროა ხსენებული არხი ხელ-ახლად ამოითხაროს, ამოიწმინდოს.

მეორეც ისაა საჭირო, რომ მონასტრის გუმბათის გახეთქილ ალაგს უეჭველად ზემოდგან, გარედგან გზა უპოვონ. მაშინ დუღაბით ან ცემენტით მჭიდროდ უნდა აივსოს და ზემოდგანაც, იმოდენი ალაგი მაინც რკინით დაიხუროს, რომ წვიმის წყალმა ველარსაიდგან ჩაატანოს. როცა ამ გვარად გავამაგრებთ, რასაკვირველია, აღარაფრის შიში გვექნება და ეს ნაშთი, მოწმე ჩვენის წარსულის დიდებისა და ვინაობისა, კიდევ რამდენსამე საუკუნეს გარდასცემს ჩვენის წინაპრების სახესა და მათს საქმეს.

აი, როცა მონასტერს სახურავი ექნება და წყალს მოვაშორებთ, მაშინ შეუდგეთ ღვთის-მშობლის ხატის სახის აღდგენას, მაშინ აქვს მნიშვნელობა გავამშვენოთ მონასტრის კედლების მხატვრობაც, თორემ ეხლა რომ მორღვეული კლდე მარტო შიგნიდგან შევლესოთ, ეგ ხომ თავის მოტყუება იქმნება და სხვა არაფერი.

მაშ, ბატონებო, სანამ დროა საქმეს შეუდგეთ და ჩვენი წმინდა მოვალეობა ღირსეულად აღვასრულოთ. ამოვარჩიოთ ოთხიოდე გულ-შემატკივარი სანდო კაცი, შეჰკრიბონ ხელის-მოწერით ფული, ან რედაქციებმა იკისრონ ფულის მიღება და ამ გაზაფხულსავე გადავარჩინოთ მონასტერი განადგურებას. და თუ ბევრს ვერ შევძლებთ, ის მაინც მოვახერხოთ, რომ კედლებზედ ნახატი რაც არის უეჭველად გადავიღოთ და ჩვენს შვილის-შვილებს მაინც გადავცეთ და შეუნახოთ.

ილ. ალხაზიშვილი

სწავლებელში მიდიოდნენ, ჩვენს ახლოს რომ გამოიარეს, შეჩერდნენ და წიგნის კითხვას ყური დაუგდეს, ერთი იმათგანი დაგვეკითხა: ბატონო, ასეთი კარგი ამბები თუ სწერია მაგ წიგნში, გვიბძანეთ სად იყიდება, ჩვენც კიყიდით. მე თვითონ ვუყიდი, შვილო, მიუგო ბ-ნმა იოსებმა; ბავშვმა ფულის ამოღება დააპირა, მაგრამ მე შევაჩერე და ვუთხარი:—არა ძმაო, ოღონდ კი წაიკითხე და ვინ რჯულზედ ხელ აღებული უფასოდ არ მოგცემს-მეთქი, და წიგნი ვუთავაზე. გახარებულმა ბავშმა წიგნი გამომართვა, მოუთმენლად გადაფურცლა იგი, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ჩვენი განცვიფრება—ერთი სიტყვაც-კი ვერ ამოიკითხა წიგნაკში. როგორ არა გრცხვენიან, ვუთხარი მე, ამოდენა გაზდილხარ კითხვაც-კი არ იცი-მეთქი.
—მე რა ვქნა? არ გვასწავლიან და... წაიბუტბუტა დარცხვენილად ბავშმა და სასწავლებლისაკენ გასწია.

კანონს გარეშე არ იქმნება, რკინის გზის ქართველმა მოსამსახურეებმა რკინის გზის უფროსს სთხოვონ, რომ იმან იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს, რომ ქართველ მოსწავლეებს ქართული ენაც ასწავლონ.

დარწმუნებულნი ვართ, რომ მთავრობა ამგვარ თხოვნას ყურადღებას მიაქცევს.

ყიფიანი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჩვენს მეთაურს წერილსაც აღირსა პასუხი გაზ. „Нов. Обоз.“-ემ. აი რას ამბობს ეს გაზეთი:

ვინმე ფარნაოზი „ჩქარობს“ განიმეოროს ყველა ის, რაც გაზეთ „ცნობის ფურცელში“ და „კავკაზ“-ში, ბ-ნ გუნიას წერილში იყო დაბეჭდილი. „ჩქარობსო“ იმიტომ ვამბობთ, რომ იმ ცნობებს, რომელიც მოჰყავთ ბ-ნ გუნიას და ფარნაოზს ჯერ შემოწმება უნდა (იხილე ქვემოდ წერილი ბ-ნ ვართანიანცისა). გაზეთი „ივერია“ რომ ამ გონიერს ანდაზას მისდევდეს—Audiatur et altera pars—(ე. ი. მოუსმინეთ მოწინააღმდეგესაო), მაშინ ის შეცდომა არ მოუვიდოდა, რომელსაც ისე ხშირად აბრალებს ბანკის ოპოზიციას. თუ რომ საქმის აწონ-დაწონვა, სიფრთხილე და მოფიქრება სავალდებულოა ბანკის ორატორებისთვის, ყველა ეს უფრო სავალდებულოა გაზეთის მოღვაწეთათვის.

„ბ-ნი გუნია „ჩქარობს“, ფარნაოზი „აჩქარებულაო“, სწერს გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ე და იმავე გაზეთში დაბეჭდილ ბ-ნ ვართანიანცის წერილზე გვითითებს, იმ წერილზე, რომლის დაბეჭვდაც ისეთის სისწრაფით მოუწადინებია, „ნოვ. ობოზ.“-ის რედაქციას. გადავიკითხეთ ეს წერილი. უმართებულო და ზრდილობას მოკლებული სიტყვები რომ გამოვაკლოთ ამ წერილს, მარტო ის დარჩება, რომ ბ-ნ ვართანიანცი, როგორც თითონ აღიარებს, მართალია, დაუთხოვნია საყასბოში მოსამსახურე ქართველები, მაგრამ ძლიერ სამართლიანად მოქცეულა, რადგანაც ეს ქართველები, ბ-ნ ვართანიანცის სიტყვით, ზარმაცები იყვნენ და თავისს სამსახურს კარგად არ ასრულებდნენო.

ეხლა ვკითხოთ „ნოვ. ობოზ“-ეს, თუ-კი ასეთს საქმეში სიფრთხილე და საქმის აწონ-დაწონვა ისე საჭიროდ მიაჩნია, რად სჯერა ისე ბ-ნ ვართანიანცის სიტყვები და რად არა სჯერა ბ-ნ გუნიას მიერ მოყვანილი ცნობა. რადა ჩქარობს პატივცემული რედაქცია და თამამად რად აცხადებს, ბ-ნი გუნია სტყუის, ამას ვართანიანცის სიტყვა ამტკიცებსო. მერე ვინ არის ბ-ნი ვართანიანცი? შეუცდომელი პაპი ბრძანდება თუ? თქვე დალოცვილებო, რატომ ბ-ნ გუნიას-კი არა ჰკითხავთ, არა სთხოვთ დაამტკიცოს მის მიერ მოყვანილ ცნობათა სიმართლე? ეს კიდევ არაფერი. ვსთქვათ, რომ ეს ცნობები არ დამტკიცდა. რადგანაც მართლა რომ ძნელია, კაცმა დაუმტკიცოს რამე ვართანიანცს, რომელიც უფროსი და ბატონი ბრძანდება ქალაქის საყასბოსი. ამიტომ ლაპარაკობს ასეთი რიხით და ამტკიცებს, ყველა ცნობები მე მაქვს ხელში და ჩემთვის-კი ბ-ნ გუნიას არაფერი უკითხავსო.

დავანებოთ თავი საყასბოს. თუ „ნოვ. ობოზ.“-ეს რედაქტორს მართლა სიმართლის გაგება და გამოაშკარავება უნდა და არა მარტო ამ ვართანიანცის გამოსარჩლება, ვთხოვთ საკამათო საგანს ნუ ასცდება, სიტყვას ბანზედ ნუ ააგდებს, ვართანიანცისა და სხვა „იანცების“ ზურგს ნუ ამოეფარება და პირ-ახდით სთქვას, მართალია, თუ არა, რომ ტფილისში

1) ქუჩის დამგველები და მრწყველნი (150 კაცი) სულ ერთიანად სომხები არიან.

2) ტეხნიკები და ინჟენერები (ქალაქის გამგეობისა) ერთი ებრაელია და დანარჩენი სომხები არიან.

3) ექიმი ოცამდეა და მათ შორის ერთი ურია არის, დანარჩენი სომხები.

4) სამ ბეითალის შორის ერთი ებრაელია, ორი სომეხი.

5) ავჭალაში მილის წყლის მანქანაზე ათამდე მოხელეა და ისინიც სულ სომხები.

აი ამისი პასუხი ჰბრძანოს ჯერ „ნოვ. ობოზ.“-ემ და მერე გამოჩნდება, ვინ არის საკამათო საგანში მართალი, თორემ ბ-ნმა ვართანიანცმა სთქვა, მე მართალი ვარ და თქვენ არაო, ეს რა საბუთია?

ერთი ესეც შეგვატყობინეთ კიდევ, ვინ არიან ტფილისში ბაზრის ზედამხედველები, სახლების დამფასებელნი და სხვა ხარჯის ამკრებელი აგენტები და საზოგადოდ ქალაქის გამგეობის მოხელენი და მოსამსახურენი, ქართველები არიან თუ სომხები? ყველა ამაზედ „ნოვ. ობოზ.“ ხმას არ იღებს, ყურს იყრუებს და ვართანიანცმა ბრძანა, მე მართალი ვარო, გაიძახის. ეს არის თქვენი სიმართლე და „აუჩქარებლობა?“.

## რუსეთი

—

პეტერბურგში ამ ჟამად არდგენენ აქციით ამხანაგობას, რომელსაც აზრადა აქვს ნავოსნობა გაჰმართოს იმიერ-კასპიის რკინის გზის სადგურ ჩარჯუიდგან ამუ-დარიის მდინარესა და არალის ტბაზედ სასიარულოდ და აგრეთვე იმიტომაც, რომ ეს ტბა შეუერთდეს რკინის გზით ორენბურგსა ანუ ურალსკს.

—

პეტერბურგში განუზრახავთ ჩინურს ენაზედ გამოცემა გაზეთისა, რომელმაც ხელი უნდა წარუმართოს ჩინეთისა და რუსეთის შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამკვიდრებას. ეს გაზეთი ორსავე ენაზედ უნდა იბეჭდებოდეს—ჩინურადა და რუსულად.

—

ს. პეტერბურგის უნივერსიტეტების აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზედ უკვე შემოუღიათ კორეის ენის სწავლება; მასწავლებლად დანიშნულია რუსეთში ჩამოსული კორეის მოხელე მინ-კიონი-შაკი. ჩინურის ენის სწავლების განკარგების აზრით იმავე ფაკულტეტზე მასწავლებლად დაუნიშნავთ, პეტერბურგს მყოფ ჩინეთის საიმპერატორო მისსიის პირველი სტუდენტი შოახენსიუნი.

—

განსაკუთრებულ კომისსიას, რომელიც ამორჩეულია ერის ჯან-მრთელობის დამცველ საზოგადოების მიერ და რომლის თავმჯდომარედაც პროფესორი კოსტიურინი იმყოფება, უკვე შეუმუშავებია იმისი პროექტი, თუ როგორ უნდა შესდგეს რუსეთში პირველი საბალნეო-კლიმატოლოგიო კრება. ეს კრება განზრახვა აქვთ მოიწვიონ სწორედ იმ დროს, როდესაც ასი წელიწადი შეუსრულდება კავკასიის მადნის წყლებს—1898 წლის იანვრის თვეში.

## უცხოეთი

**აღმოსავლეთის საქმე.** ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა თავიანთი მუქარა შეასრულეს და კრიტს ალყა შემოარტყეს. ეგევე მოელის საბერძნეთის სამეფოს საზღვრებსაც. მაგრამ რა გამოვა ყოველივე ამისაგან? ზოგიერთს გაზეთებს იმედი არ დაუკარგავთ და ეხლაც იმ აზრისანი არიან, რომ საბერძნეთი დიდ სახელმწიფოთა ბრძანებას ურჩობას ვერ გაუწევს და, დღეს თუ არა, ხვალ მაინც დანებდებაო. ხოლო ზოგიერთი გაზეთები საფუძვლიანად აღიარებენ, რომ დიდ სახელმწიფოების დაჟინებამ შეიძლება უფროც გაამწვავოს საქმის ვითარებაო. თუ საბერძნეთს კრიტზედ ხელი აიღებინეს, ცხადია,—ის ოსმალეთს ომს გამოუცხადებს და ამასთანავე ოსმალეთის იმ პროვინციებში, რომელშიაც ბერძნები სახლობენ, ამბოხებას მოახდენსო. მაშინ-კი ევროპის კანცერტი დაირღვევა, დიდნი სახელმწიფონი, რომელნიც დღეს ასე უსამართლოდ ეღობებიან საბერძნეთს გზაში, ერთმანეთს დაერევიან და საერთო სისხლის ღვრა ასტყდებაო.

მართლაც რა დარჩენია საბერძნეთს იმის მეტი, რომ ამ გვარ უკიდურესს საშუალებას ეხლავე არ მიჰმართოს? ევროპის დიდნი სახელმწიფონი ხომ არასოდეს არ ეტყვიან, მობძანდი, შენი ჭირიმე, და ეს და ეს ადგილები ჩაიბარე, რომელთა მოვლა-პატრონობის თავი ოსმალეთს არა აქვს და რომელთა მკვიდრთ საბერძნეთთან შეერთების დიდი სურვილი აქვთო. ოდესმე ხომ მაინც ძალას უნდა მიჰმართოს საბერძნეთმა თავისის არსებითის საგნის განსახორციელებლად. მაშ რაღა დღეს და რაღა ხვალ; მით უმეტეს, რომ ამ ჟამად იმას მთელი თავისი ძალ-ღონე შემოკრებილი აქვს, ერი ბრძოლის სურვილს აცხადებს და საომრადაც ფეხზედა სდგას.

გაზეთები სარწმუნო წყაროებიდგან იუწყებიან, რომ საბერძნეთი სრულიად შეთოფ-იარაღებულია ამ ჟამადაო. იმისი ჯარის-კაცის რიცხვი 90,000 უდრის, რომელთაგან 11,000 კაცი ზღვის ჯარს შეადგენსო. დღემდის-კი 40,000 ხმელეთის ჯარის-კაცი ჰყავდა და 6,500 ზღვის ჯარი. წარსულს კვირაში თესალიის საზღვრებზე გაუგზავნია 28,000 ქვეითი ჯარი და 22 ბატარეია 25,000 ცხენით. არტში და ლევკოსის კუნძულზედ შეუკრებია 8,000 კაცი, 3 ბატარეია და 500 ცხენი. ლევკოსსა და პირეისშუა ჯავშნიანი გემი „მეფე გიორგი,“ 2 ნაღმიანი გემი და რამდენიმე ტვირთის მზიდველი გემი დაცურავს, მაშინ როდესაც ამ ადგილებში ოსმალეთის არც ერთი გემი არ ყოფილა, რომელმაც საბერძნეთის ჯარს ეპირში გასვლისთვის ხელი შეუშალოს. სათადარიგო ჯარის-კაცნი, რომელნიც-კი სიებში ჩაწერილია, თითქმის ყველანი გამოცხადებულან. ათინის გარეშე ადგილების მცხოვრებთ მთავრობისთვის 12,000 ცხენი და 2,000 ურემი მიუყვანიათ.

ბალკანეთის სლავიანთა პატარა სახელმწიფოები საბერძნეთზე არანაკლებ ემზადებიან ომისათვის. სერბიის ერთი გაზეთი ამბობს, რომ ოსმალეთის განაწილების დრომ მოაღწია და უნდა ვეცადნეთ,—ჩვენი საკუთარი ლუკმა სხვას არ ჩაუგდოთ პირშიო. ჩვენ, ბალკანეთის სლავიანებს, ბევრნი ვითომ მეგობრობას გვიცხადებენ, მაგრამ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ არც ერთს იმათგანს ჩვენთან მეგობრობისათვის არა სცალიან, იმათი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ჩვენთან კეთილ-განწყობილებით ისარგებლონ და ჩვენი სარჩო-საბადებელი თითონ ჩაიგდონ ხელშიო. დღეს, მადლობა ღმერთს, კარგათა გვაქვს შეგნებული, რომ ბალკანეთის ნახევარ კუნძულის პატრონები სერბები, ბოლგარები და ჩერნოგორელები ვართ და არა სხვა ვინმეო. დიდება და სახელი სერბიის მეფეს და ბოლგარიის მთავარს, რომ თავიანთის ქვეყნის საჭიროებანი მიწევნით იციან და საჭირო ღონისძიებანი გამოსძებნესო. სერბიის მეფე ალექსანდრემ, ბოლგარიის მთავარმა ფერდინანდმა და ჩერნოგორიისამ ნიკოლოზმა რომ ერთმანერთი ინახულეს, იმას ტყუილად არ ჩაუვლია, კარგად გამოარკვიეს თავიანთი საბრძანებლის საჭიროებანი და ერთი-ერთმანეთს ხელი-ხელს მისცესო. ამ სამ სახელმწიფოს ერთად ნახევარ მილიონ ჯარის კაცთა გამოყვანა შეუძლიან ბრძოლის ველზედ და ეს სრულიად საკმარისი იქმნება,—თავიანთი არსებითი უფლებანი დაიცვანო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

მახსოვს, ამ ოც-და-ათის წლის წინად, ომიანობამდის კრუა სომხის ჭაჭანება არ იყო აქ და ყველგან და ყოველს საქმეში სულ ქართველი მუშები იყვნენ.

მეკურტნე მუშები რაჭველები და ქიზიყელები იყვნენ, რიცხვით ორი ათასამდის. ორი ათასზედ მეტი რაჭველი და იმერლობა მეეზოვებად დ ასასებად იდგნენ. მეპოვოსკებადაც სულ ქართველები იყვნენ, მხოლოდ შიგა და შიგ რუსები ერივნენ.

დღიური მუშა ხალხი (მიწის მთხრელები, აგურ-მასალის მიმწოდებელნი შენობებზედ და ნარდად მომუშავენი), რომლის რიცხვი ხუთი ათასს აღემატებოდა, სულ ქართველები იყვნენ.

ქალაქის სამმართველოსაც: თხრილების ამოსაწმენდად, ქუჩების დამგველებად, ნაგვის გამტან მეპოვოსკეებად და სხვა ამ გვარ საქმისათვის სულ ქართველი მუშები ჰყავდა. მაგრამ დღეს ეს ასე აღარ გახლავთ.

ამ ოც-და-ათის წლის წინად ხმა გავრცელდა, ტფილისის მდიდარმა სომხებმა ამქარი შეადგინესო, რომელსაც საგნადა აქვს ქალაქი კრო-სომხებით აავსოსო.

ეს არავისა სჯეროდა, სანამ იმ საქმის მოთავემ ქარვასლის პატრონმა არწრუნმა არ გამოიწერა მთელი ჯარი კრო-მუშებისა. ქართველთ მუშები მაშინვე მივიდნენ არწრუნთან და უთხრეს:

— ბატონო! ხმა დადიოდა და არა გვჯეროდა. აბა რად გამოიწერეთ კრუა-მუშა სომხები, განა ჩვენზედ კარგა იმუშავებენ და ჩვენზედ პატიოსნად მოეკიდებიან საქმეს?.. განა აქ ცოტა გაჭირვებული და ულუკმაპურო ქართველი მუშები არიანო?..

— ეჰ, შვილო, ახლა მუშა თოთხმეტი შაური—ოთხი აბაზია და მაგათ-კი ათ შაურად, ორ აბაზად ვამუშავებო, უპასუხა არწრუნმა.

წარსულ ომიანობის შემდეგ გამრავლდა ქალაქში არა თუ მუშა, არამედ კრო-მოვაჭრეებიც.

ყოველ სომხის მაღაზიაში თითო სომეხი კრო-მუშა ჩააყენეს. დიდხანს არ გაუვლია, რომ სომხებმა ასასებადაც სულ სომხის კრო-მუშები დააყენეს და ქართველი ასასები გამოაძევეს. ნაგვის მზიდველობაც მათ დაიწყეს და მერე მეკურტნე მუშებადაც გამოვიდნენ.

მაღაზიაში ჩაყენებული სომეხი კრო-მუშები სულ თავიანთ სომეხ კრო-მუშებს ეძახოდნენ საქმისათვის. ქართველები-კი მაშინ მიჰყავდათ, როცა სომეხი მუშები აღარ იშოვებოდნენ, ან მძიმე და პასუხ-საგები საქმე რამ იყო.

ქართველ მეკურტნე მუშებს თანდათან ცხოვრება გაუჭირდათ. როგორც სომეხ მუშას ემატებოდა, ისე ქართველი იდევნებოდა და თანდათან კლებულობდა მათი რიცხვი. ყველაზედ უმალ ქიზიყელმა მუშებმა მიატოვეს ტფილისი.

ამ გვარისავე თანდათანობით სუსტდებოდნენ და იდევნებოდნენ სამუშაო ბინიდგან ქართველი დღიური მუშებიც.

ნარდად საქმის ამღებს სომხებს სულ კრო-მუშა მიჰყავდა თავის სანარდო საქმეების სამუშაოდ. მუშის თავებადაც იმათგანი დააყენეს და ამ

უკანასკნელთაც უფრო კრო-სომხების მხარე ეჭირათ. ბევრმა ნარდათ საქმის ამღებმა სომეხმა სომხური არ იცოდა და მუშაობის დროს საქმე უჭირდებოდათ, მაგრამ მაინც იმათ მიერეკებოდნენ სამუშაოდ. ამბობდნენ, ესეც იმ სომხების კომიტეტის ბძანებით არისო. ამ გვარად, ქართველი მუშა ნელ-ნელა იდევნებოდა ქალაქის ბინიდგან ანუ მუშათა ბაზრიდგან.

დიდი ხანი არ გასულა, რაც ქალაქის გამგეობამ მთლად გამოაძევა ქართველი მუშები და სომეხი კრო-მუშები ჩააყენა თავისს საქმეებში. მეპოვოსკებადაც ისინი დაიქირავა ქალაქის გამგეობამ. შემდეგ ვინც იქიდგან გამოდიოდა საკუთარ ცხენებს იჩენდნენ, ზოგს მდიდრებიც აძლევდნენ შემწეობას და ამ გვარად ჩაერივნენ მეპოვოსკე და მედროგეთა რიცხვში და თანდათან დაიწყეს მატება.

დღეს აავსეს ქალაქი სომხებმა ოსმალოდგან გადმოხვეწილი სომხებით. ქართველებისათვის საქმე აღარ არის, ლამის ლუკმა-პური გაგვიწყდეს.

გინდ უფრო უკეთ და იაფად შეასრულოს ის საქმე ქართველმა, რასაც სომეხი მუშა კისრულობს, მაინც სომეხი მიჰყავთ და არა ქართველი... ამ გვარად დევნილი, ულუკმა-პუროდ დარჩენილი ქართველი მუშები იძულებულნი შეიქმნენ გასცლოდნენ ქალაქს.

ზოგი ქართველი მუშა სხვა ქალაქებში წავიდა ლუკმა-პურის საშოვნელად და მომეტებული ნაწილი-კი სახლში დაბრუნდა. მაგრა რა?—იმერეთსა და მეტადრე რაჭაში ისეთი მიწის სივიწროვე გახლავთ, რომ ერთის მტკაველ მიწისათვის ძმა ძმას აღარა ჰზოგავს და მამა შვილს. ერთი ქცევა მიწა ას თუმნამდის ჰფასობს, ახლა კიდევ წყალ-დიდობამა და მეწყერმა დააქცია იქაურობა და თქვენი მტერი იყოს ისე, როგორც მთელის იმერეთის და მეტადრე რაჭის ცხოვრება არის გასაჭირი. თუ ასე წავიდა საქმე, მაშინ შიმშილით ამოწყვეტის მეტი აღარა მოგველისრა!...

ქალაქში კიდევ არიან ცოტაოდენი ქართველი მუშები, მაგრამ ხელჩართულ ომში არ გაუჭირდება კაცს ისე მტრის დამარცხება, როგორც ტფილისში ქართველ მუშებს უჭირს სამუშაოს შოვნა. დღეს ქარვასლებში ველარ იპოვნით ქართველ მუშების ნატამალს.

აღარც ასასებად არიან, აღარც ეზოს დამგველებად. დღიური მუშაობიდგანაც ათ წილზედ მეტი განიდევნა და იმათი ადგილი სულ გამოწერილ და ოსმალეთიდგან გადმოხვეწილ კრუ მუშებმა დაიჭირეს, თუმცა ქართველ მუშების დღევანდელი გარემოება ასეურ უარესად გასაჭირია და ძნელად ასატანი, ვიდრე ოსმალეთიდგან გამოქცეულ თუ გადმოხვეწილ სომხებისა.

ამის მიზეზი გწერთ, ბ-ნო რედაქტორო, რომ გავაგზოთი ქართველებმაც ჰყავთ რიგიანი კაცები და ეგებ ყურადღება მოგვაქციონ ამ უკიდურესს გაჭირვების დროს, ვიდრე ჯერ კიდევ სრულიად არ გავუდევნივართ ჩვენის ძველ დედა-ქალაქიდგან.

სოსიკო მუშა

### ქ-ნ ელენე ავალიანის პასუხად

(წერილი რედაქციის მიმართ)

წავიკითხე წერილი ქ-ნ ელენე ავალიანისა, რომელსაც ქიზიყის დეპოსათვის საწევრო ფული გამოუგზავნია, და სიღნაღის ფოსტას რამდენისამე თთვის შემდეგ ისევ უკან დაუბრუნებია: მიმღებელი არ გამოცხადდაო. ეს საქმე რომ სიღნაღის ფოსტაში არ მომხდარიყო, დიალაც ყველას გაგვიკვირდებოდა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ გაგვეცინა თავის გაქნევგამოქნევით. ორს დღეში ერთხელ კაცსა ვგზავნით ფოსტაში ჟურნალ-გაზეთების, დაზღვეულ წერილების თუ ფულის მისაღებად რწმუნების ქაღალდით და აქედამ ადვილად წარმოსადგენია, თუ იმ რამდენსამე თთვეში რამდენჯერ გამოცხადებულა ადრესატის კაცი, მაგრამ რას მოითხოვდა იმ ფულს, როდესაც ჩვენ არავითარი უწყება არ მიგვიღია ფოსტიდგან. მრავალჯერ გვითხოვნია ფოსტის მოხელეებისათვის პირადაც და წერილითაც: ვიდრე ჩვენი წერილი არ მოგიტანოთ ჩვენმა გამოგზავნილმა, ან სხვამ, ისე ნურას გამოატანთ ნურავის, რადგანაც ხშირად წამომღების ქართველური გულგრილობა-დაუდევრობით ზოგი გვეკარგება და ზოგსაც ერთის წლის მერე ვპოულობთ შემთხვევითაო, მაგრამ მრავალჯერ ნათხოვნი ერთხელაც არ შეისმინეს ჩვენმა ფოსტის მოხელეებმა, და აი ეს არის კიდეც მიზეზი, რომ ფოსტის უწყება დაიკარგა და ქ-ნ ელენე ავალიანის ფულმა ჩვენამდის ვერ მოაღწია.

დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, თითქმის იქამდისაც მიაღწიოს ადამიანთა მაღალ-ნიჭიერების დაუცხრომელმა ძიება-მეცნიერებამ, რომ მოკლე მომავალში ჩვენის დედამიწისა, მარსისა და იუპიტერის მცხოვრებნი ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ ბუმბერაზ მნათობ-ასოების საშუალებით რამდენისამე მილიონ ვერსის სიშორეზედ, და ჩვენის ფოსტის მოხელეები-კი ხუთიოდე ვერსის მანძილზედაც ხმას ვერ გვაწვდენენ ნაცნობებს თავიანთ მოუფიქრებლობა-დაუდევრობით და მოსულს ფულს ისევ უკან აბრუნებენ, თითქოს ქიზიყის დეპო მაჩხაანიდგან სხვა პლანეტაზედ გადავარდნილიყოს ჰაეროლიტივით და ყოვლად შეუძლებელი გამხდარიყოს მისი პოვნა! მართლაც და კამბეჩოვანი ქვეყანაა ჩვენი დალოცვილი ქიზიყი!.. წრფელის გულით ვისურვებთ, რომ დღეის შემდეგ მაინც წეს-რიგიანობა დამყარებულიყოს ჩვენს ფოსტის კანტორაში.

დასასრულ უმორჩილესად ვთხოვთ ქ-ნ ელენე ავალიანისას: ნუ მიიღებს საწყენად ძველთაგანვე ეგრედ წოდებულ კამბეჩიან ქვეყნის ფოსტის საქციელს და ხელ-ახლად გამოგზავნოს საწევრო ფული ჩვენს სახელით.

ქიზიყის დეპოს გამგეობა

### დამკვირდი

(ვერსი)

ზრდილს კაცს ისე თავ-მდაბლად უწოდავს თავი, თითქო თითონ-კი არ ასწავლის სხვას, არამედ სხვისაგან სწავლობსო.

***

სხვებს რომ ჰმდურები, აბა ახლა შენს თავსა ჰკითხე: სხვებს-კი მაზე არა ჰქონთ შენ დაჰმდურების?

***

ფულის შოვნას უფრო ადვილი, ვიდრე გონიერად ხარჯვა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მარტი

**პეტერბურგი.** „მმართველობის მოამბე“-ში დაბეჭდილია: იმ დიდთა სახელმწიფოთა შორის შემდგარ მორიგებისამებრ, რომელთა გემებიც კრიტის წყლებში იმყოფება, დილის 8 საათზედ შეერთებულ ესკადრთა ადმირალების მიერ ალყა შემოერტყა კრიტის კუნძულს. ალყაში მოქცეულია ყველა ის გემებიც, რომლებზედაც საბერძნეთის დროშა ფრიალებს. ექვსის დიდ სახელმწიფოს და აგრეთვე განცალკევებით მყოფ სახელმწიფოთა გემებს ნება აქვთ დართული დიდთა სახელმწიფოთა მიერ დაჭერილ ნავთ-სადგურში შესვლისა და ტვირთის გადმოღებისა გემებიდგან, თუ ეს ტვირთი საბერძნეთის ჯარისა, ანუ იმ ადგილების მკვიდრთათვის არ არის მოტანილი, რომლებიც კუნძულის შიგნით იმყოფება.

10 მარტს, ნაშუადღევს $4\frac{1}{2}$ საათზედ, ხელმწიფე იმპერატორმა, ხელმწიფე იმპერატრიცამ მარია თეოდოროვნას ასულმა, დიდმა მთავრინამ მარია პავლეს ასულმა, დიდმა მთავრებმა ალექსანდრე ალექსანდრეს ძემ და კირილე ვლადიმირის ძემ ჰნახეს გრაფ-სტროგანოვის სახლში გამართული ძველის-ძველი სამხატვრო ნივთები და სურათები, რომლებიც უმაღლესს გვამთა და კერძო კაცთ ეკუთვნიან.

11 მარტი

**ვენა.** ,,Neue Freie Pesse‘‘ უარჰყოფს იმ ამბავს, ვითომ საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა და ავსტრი-უნგრეთის რწმუნებულმა ათინაში გადასწყვიტეს, დავიცადოთ, ვიდრე არ გათავდება გამოძიება იმ საქმის გამო, ავსტრი-უნგრეთის გემმა რომ საბერძნეთის გემს ზარბაზნები დაუშინაო. ეს რამდენიმე დღეა, ავსტრი-უნგრეთის რწმუნებულს აღარავითარი მოლაპარაკება არა აქვს საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრთან.

**ლონდონი.** „Daily News“ დეპეშით სწერენ ქაირიდგან: „შესაძლებელია, სუდანში ექსპედიცია აღარ გაიგზავნოს, რადგანაც ხალიფი მშვიდობიანობის დამყარებას თხოულობსო“.

კანეიდგან მოსულ ცნობებიდგან სჩანს, რომ მეამბოხე ქრისტიანებს, რომლებიც კარგა დიდ მანძილზედ თავის ნებით გასულ ოსმალთა ჯარს თოფებს ესროდნენ, სუდის ნავთ-სადგურში მდგარ ოსმალეთის გემების ხვბლრო გემებმა ზარბაზნები დაუშინეს.

**კონსტანტინეპოლი.** ელჩებმა საერთოდ მოსთხოვეს პორტას, რომ ადანის ვალი და ამავ ვილაიეტის პოლის ოლქის კაიმაკანი გადააყენეთ სამსახურიდგან, რადგანაც მათი მოქმედება მაჰმადიანებს აღელვებს; რის გამო ძალმომრეობამაც თავი იჩინა. პორტას ყურადღება მიაქციეს იმ ამბავს, რომელიც ამას წინად მოხდა გიმერესა სივასის ვილაიეტებში.


# განცხადებანი

თამარის სურათი ატლასზე შეკერილი ბალიშებისთვის . . . . . 2 მ. კ.
აბაჟური ექვს ცნობილ მწერალთა სურათებით . . . . . . 3 „ „
აბრეშუმის ცხვირსახოცები იმავე მწერალთა სურათებით . . . 60 კ.—80 კ.
წიგნებში ჩასადები ლენტი . . . . . 25 კ.—30 კ.

ვინც ბევრს იყიდის, იმას იაფად დაეთმობა. ვისაც ჰსურს თავისი სურათი ამოაქარგინოს, შეუძლიან მიმართოს ამ ადრესით: ტფილისი, საპოროს ქუჩა, სახლი № 12, მურადოვისა, ა. როდიონოვისას. (6)

ეუკალიპტისა და ხეხილების გასაშენებელი ბაღი
ქ. ფ. გლობჩენკისა
(მდინარე ვერაზე, ხიდის გაღმა, მარჯვენით) ისყიდება ნაყვენი ხეხილები, კვიპაროზი და მრავალი სხვა მშვენიერი ხეები და ბუჩქები.
თესლეულობის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ (სახლი დობრინსკისა) ისყიდება ახალი თესლი ყვავილების და ბოსტნეულის; უმეტესი ნაწილი თესლისა საკუთარი ბაღიდგან არის. (6—86—2)

ცნობილ ფაბრიკების

როიალები

პიანინო

ფის-ჰარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.
ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,
კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა
რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.
Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул. (3)

პატენტ-ბოძებული თვით მოქმედი მანქანა ,,სიფონია‘‘ ვენახებისა, ბოსტნებისა და ხეხილების სამკურნალოდ უფრო კარგად ასხურებს წამალს, ვიდრე სხვა რომელიმე სისტემის მანქანა. ხარჯების დროს შეეგება სულ არა სჭირდება. ამითი დიდად იზოგება დრო და მასალა.

ისყიდება: ივანე კულიჯანოვის მაღაზიაში ქ. თელავს.
ე. ფ. აუფერმანის საწყობის განყოფილებაში, ქალაქ სიღნაღს, შავლოვების ქარვასლაში.
ქ. ფ. აუფერმანის საწყობში, ტფილისს, მიხეილის ქუჩაზედ № 117. 20—5.—3

წლეულს
„მეურნე“
გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა.
წელს რედაქცია წინანდელებრ ერთგულად ეცდება გამოარკვიოს საქართველოს სასოფლო მეურნეობის საგნები, როგორც უმთავრესი დარგი თავისი პროგრამისა, იმავ დროს უფრო მეტს ყურადღებას მიაპყრობს ეკონომიურსა და საჭიგიენო ნაწილს ჟურნალისას. თანამშრომლების მიმატება მწერლობაში ცნობილ პირთაგან სრულ იმედს გვაძლევს, რომ 1897 წელს გაუმჯობესებლად შევსძლებთ მარჯვეთ ვემსახუროთ გონიერს საგნებზე და არსებითს საქმეებზე კითხვას მოწყურებულს ქართველს საზოგადოებას.
ჟურნალის გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს: ქუთაისში „მეურნის“ რედაქციას, გეგუთის ქუჩის გადასახვევში, ჭყონიას სახლში, № 10; „მეურნის“ რედაქციის სტამბას, თბილისის ქუჩაზე, ნ. სვიმონოვის შენობაში, გუბერნატორის სახლის პირდაპირ.
რედაქციას მომავალ წლისათვის მზადა აქვს შემდეგი წერილები 1) ვაზი, მისი მოშენება და მოვლა, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა; 2) მადნები ქუთაისის არე-მარეში, ბ. დავიდოვისა; 4) კოოპერატიული საზოგადოებანი, ი. ჩემბასი და სხ.
მეურნის ფასი—წლით 4 მანათი, ნახევარის წლით 2 მანეთ ნახევარი.
წლიურ ხელისმომწერთ დამლევამდი მიეცემათ ხუთხუთი ძირი ამერიკულ ვაზისა
ფოსტის ადრესი: Кутаисъ. Редакція „МЕУРНЭ“ (5—4)


Дозволено цензурою, Тифлисъ 11-го Марта 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.